ხელშეკრულება №17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. ფშაველი 24 აგვისტო 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის- ლილი ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ,შპს"ევროპლასტი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის „ზურაბ გრძელიშვილის" სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გასაღებები, ანჯამები, საკეტები(CPV44500000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 54,99 (ორმოცდათოთხმეტი და 99) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი)დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი)დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თელავი,სოფ. ფშაველი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა ს/კ 231263771 მის: ქ. თელავი,სოფ. ფშაველი ტელ:577678112 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE82BG0000000196229300 დირექტორი: ლილი ხაჩიძე (ხელმოწერა)	მიმწოდებელი: შპს „ევროპლასტი" ს/კ 431173071 მის.:ქ. თელავი, ჭავჭავაძის გამზირი N29-31 ტელ.:599584014 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი ა/ა GE61VT2900000003063602 დირექტორი: ზურაბ გრძელიშვილი (ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	კარის საკეტი ისპ200სმ	ცალი	2	12,9250	25,8500
2	ზარელი	ცალი	2	7,0500	14,1000
3	სახელური მაღაზიის ვარიანტი	ცალი	2	7,5200	15,04
სულ ღირებულება					54,99

სოფელ ფშაველის საჯარო სკოლის დირექტორი: /ლილი ხაჩიძე/

შპს „ევროპლასტის"-ის დირექტორი /ზურაბ გრძელიშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ.ფშაველი 31 აგვისტო 2015წ

ჩვენ ინდივიდუალურად ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა (შემდგომში-მიმღები) წარმომადგენელი მისი დირექტორის ლილი ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ევროპლასტი" მისი ხელმძღვანელის თემურაზ გრძელიშვილი სახით წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 31 აგვისტოს მიმწოდებელმა სოფელ ფშაველის საჯარო სკოლას გადასცა, კარის საკეტი ისპ 200სმ 2ც-25,85ლ, ბარელი 2-ც 14,1ლ,სახელური მაღაზიის ვარიანტი (თეთრი)-15,04. სულ 54,99 (ორმოცდათოთხმეტი და99)ლარი.

ზემოთ აღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით:

მიმღები:	მიმწოდებელი:
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის	შპს „ევროპლასტი"
სოფელ ფშაველის საჯარო სკოლის	
დირექტორი /ლილი ხაჩიძე /	ხელმძღვანელი /ზურაბ გრძელიშვილი/

სსიპ სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა
PUBLIC SCHOOL OF PSHAVELI TELAVI MUNICIPALITY
TEL: 2312633

კორექტირების თარიღი: 31/08/2015 13:53:32

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0192887426

2	31/08/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	13:44:41

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ევროპლასტი	431173071
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა	231263771
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ქ. თელავი, ჭავჭავაძის ქ. N 29-31

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	კარის საკეტი ისპ 200 სმ	4601	ცალი	2.0000	12.9250	25.8500
2	ზარელი	7001	ცალი	2.0000	7.0500	14.1000
3	სახელური მაღაზიის ვარიანტი (თეთრი)	5500	ცალი	2.0000	7.5200	15.0400

13	54.99 - ორმოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	31/08/2015	13:53:32
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	GE61VT2900000003063602

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 31/08/2015, 13:53:39